

შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი

№ 5.

კვირა, მაისის 11, 1908 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკით.

ადრისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ ბუღალტერია.

შინაარსი: მომავალი სამღვდლოების კრების საყურადღებოდ—ბოსლეველისა; მოსე წინასწარმეტყველი და ივ. გომართლის იკიბოტია—სანმანინისა; ყველანი სწორად ვიღოდეს (ლექსი)—რ. საჯავახოელისა; რა-მო-აქეს უღმრთობას?—ალექსი ბურისა; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას—სანმანინისა; ყოველად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდეს გადაყვანა—უკიდურესისა; ნაღვლიანობის დროს (ლექსი) (რუსულადგან)—დადი გაგუასი; წერილი ქართველ სამღვდლოებისადმი—მღვდ. მ. ტუმბურიძისა; ცრემლის ხევი—მღვ. ელ. ფ.—ძისა.

ყოველ კვირულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აპრილიდან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ლეგულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

მომავალი სამღვდლოების კრების საყურადღებოდ.*)

საკუთარი გამოცემა რომ გვეჭირვება, ამაზე ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, მხოლოდ საქიროა ვიცოდეთ, თუ როგორ მოვაწყოთ საქმე, რომ გამოცემამ დიდხანს იცოცხლოს, რაც შეიძლება, ფართოდ მოეფინოს, გავრცელდეს და თავის გავლენის კვალი გაავლოს თანამედროვე საზოგადოებას. ერთი და ორი თვის არსებობით გაზეთი ვერაფერ ახრს გაატარებს საზოგადოებაში და უამისოდ კი გაზეთი უმნიშვნელოა.

რომ გამოცემამ დიდხანს იარსებოს და თავის არსებობის კვალიც აღბეჭდოს, საქიროა ორი რამ: სიიაფე და შინაარსიანობა. ორივე ამ პირობების დაკმაყოფი-

*) დანიშნულია 4 ევნიხიდან.

ლება სამღვდლოებას ადვილად და თითქმის უშრომელად შეუძლია. როგორ გავაიაფოთ გამოცემა? ეხლა ჩვენი გამოცემა 4 მანეთი ღირს და ამაზე ნაკლები რა და იქნებაო, იტყვის მკითხველი? როგორ არ იქნება და ეს მოხდება მაშინ, როცა გაზეთს საკუთარი სტამბა ექნება. ეხლა გაზეთის თითოეული ნომრის დასტამბვა ჯდება ორმოცი მანეთი, საკუთარ სტამბაში კი ეს ხარჯი ნახევრად შემცირდება, მაშასადამე წელიწადში ხარჯი 960 მანეთით შემცირდება და ეს საგრძნობელად გააიაფებს გამოცემას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ სტამბას სხვა კერძო საშუალებარც ბევრი ექნება, რომლის შემოსავალი სრულიად დააკმაყოფილებს მის საქიროებას და ცოტოდენ სარგებლობასაც დასტოვებს, უნდა ვიფიქროთ რომ გაზეთის ბეჭედა კაპეიკიც აღარ დაგვიჯდება და მაშინ იგი, ოთხი მანეთის მაგიერ, ორ მანეთად შეგვიძლია გავხადოთ. ეს გარემოება კარგად ჰქონდა გათვალისწინებული სამღვდლოების მე-15 და მე-46 კრებას 1904 და 1905 წლებში; ამ ღირს შესანიშნავ კრებების მამებმა ერთხმად დაადგინეს სტამბის შექმნა და საკუთარი ქურონალის გამოცემა, და საგრძნობელი წვლილიც გამოიღეს საერთო თანხიდან. აღნიშნულ კრებებზე ამ საქმისთვის გადაღებულ იქმნა



8000 მანეთი, რომელიც დღეს ხაზინაში იმეკონება სამღვდელთების სახელზე და რომლის უფალი გახდა იმერეთის სამღვდელთა შემდეგ ქუთაისის სასულიერო სემინარიის გაუქმებისა. ამ საგანზე ორი კომისია იყო ზედი ზედ აღრჩეული, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ გამართლა სამღვდელთების მინდობილობა. ექვი არ არის მომავალი დებუტატთა კრება ცნობაში მოიყვანს ნაჩვენებ კრებების შრომას და შეუერთდება მათ ბრძნულ დადგენილებას. ნუ დავივიწყებთ, რომ გარდა გამოცემისა ჩვენთვის სხვაფრივაც საჭიროა სტამბა. ამ დაწესებულებას უცდის სხვათა შორის ჩვენი საეკლესიო წიგნების გამოცემა, ძველი გულბანები, რომლებიც თითო ოროლა თუღაა სადმე მონასტრებში დარჩენილი, ძველი ჩვენი საღვთისმეტყველო ლიტერატურა, საეკლესიო ისტორია, სახალხო და სასკოლო საკითხავი წიგნაკები და სხვა.

შეიძლება ვინმე სტამბის მართვა გამგეობის სირთულემ შეაშინოს. ეს ტყუილი შიშია. სტამბის მართვა გამგეობა სრულებით მარტივია და ბევრ დროსაც არ თხოულობს. ნუ დავივიწყებთ, რომ მ. დეკ. დ. ლამბაშიძე აგერ რამოდენიმე ათი წელიწადია სახელოვნად აწარმოებს, როგორც გამოცემას ისე სტამბას. სურვილია საჭირო მხოლოდ, სურვილი საქმიანობისა, დაუზარებლობა და გულსმოდგინეობა, თორემ შეუძლებელი აქ არაფერია.

დღევანდელ ქართულ გამოცემებს, რომ თვალი გადავაკოთ სწორეთ არა სანუგეშო სურათი წარმოგვიდგება. გაზეთის ოთხი გვერდიდგან ორნახევარი მაინც განცხადებებს უჭირავს, ხოლო დანარჩენი საკინკლაო სტატიებს წარმოადგენს. განცხადებებიდგან ჯერ თავისუფალია ჩვენი იუმორისტული გამოცემები, მაგრამ რა გამოვიდა. მათი შინაარსი მასხარობაა, მასხარობა ხშირად ქუჩური, და ხანდისხან უძღური ღონა და უმნიშვნელო გულის

მოსაფხანი ლექსუკები, რომლებსაც არაფერი საერთო არ აქვთ ადამიანის სულთან და გულთან. ასეთი შინაარსიანი გაზეთები, რა თქმა უნდა, მათ მიიზიდავს, ვისაც განცხადებები, ცხელცხელი მოდები ენატრება და მასხარობის გუნებაზება. ნივთიერად კმაყოფილ ბურჟუას, რა თქმა უნდა, ექვირება და ძალიანაც ასიამოვნებს, როცა რომელიმე მოღვაწე, ან დაწოდების წარმომადგენელი გაკიბორჭებული იქნება კარრიკატურაში, ან კიდევ ნიშადურზე ეშმაკი იჯდომება; ნოყიერ სადილს შემდეგ, როცა რბილ ლოგინზე გორავს, ასეთი გასართობი გაზეთი სწორედ გულის მალამოა ქვეყნიერ ბედნიერების შეილისთვის. თუ ასეთი გაზეთები პასუხია ერის შინაგან მოთხოვნილებებისა, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენ გაზეთს ნიადგი არ ექნება და ნება უნებლიეთ უნდა დაიხუროს. მაგრამ საბედნიეროდ ასე არ არის საქმე. ადამიანი მასხარად არ არის გაჩენილი. მისი დანიშნულება პავლე მოციქულის სიტყვით „სიწმიდესა და ჭეშმარიტებაშია“, ე. ი. ზნეობის სიმალდეში და ჭეშმარიტების კვლევა-ძიებაში. ამ დანიშნულებას ემსახურება საუკეთესო და რჩეული ნაწილი კაცობრიობისა და თან ეზიდება დანარჩენებსაც. ესენიც ასე თუ ისე ექვემდებარებიან, ემორჩილებიან ამ მისწრაფებას და ამ მისწრაფების სრული დახშობა არ შეუძლია არავითარ ჯოჯოხეთის ძალას. მაშასადამე იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ გამოცემას, თუ იგი მოსამსახურე იქნება ადამიანის დანიშნულებისა და მის მისაღწევ საშუალებათა გზის მაჩვენებელი, მკითხველი ეყოლება.

თქმა არ უნდა, ყოველი ხალი დაწყებულება, რაც უნდა ჭეშმარიტ გზას ადგეს იგი, ეწოთირება უჩვევ საზოგადოებას. მით უფრო საჩოთირო და ძნელად გასაგები იქნება იგი ეხლა, როცა სხვა და სხვა ცრუ მოძღვართა და ცრუ წინამძღვართა დაიჭირეს საპატიო ადგილი. მათი ერთი სახელის ხსენება დღეს საკმარი-

სია, რომ მუხამ ვაშლი გამოისხას და ვაშლმა რკო. მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს. ეს ასე ყოფილა ყოველთვის, მაგრამ კეშმარიტების მოძღვრებს არასოდეს იარაღი არ დაუყრიათ და ბოლოს მაინც გამარჯვებულები გამოსულან ბრძოლის ველიდან. ხალხს მოძღვარი და ბელადი ეჭირვება. უამისოთ მას არ უცხოვრნია და ვერც იცხოვრებს, რაც უნდა მაღალი შეიქნეს მისი კულტურა; ამიტომ, როცა კეშმარიტი მოძღვარი და წინამძღვარი არ არის, ცრუ მოძღვარნი იჭერენ ადგილს და ხალხიც მას ემონება. სადაც ქრისტე არ არის, იქ მახმადია, იქ ბუდდაა, იქ ზოროასტრია. როცა ჩვენ დროს კეშმარიტი ქრისტეს მოძღვრები შემცირდნენ, მათი ადგილი ბებელებმა და გომართლებმა დაიჭირეს. საკმარისია აღსდგენ კეშმარიტნი თავდადებულნი მოძღვარნი, რომ ცრუ მოძღვარნი დაეცენ.

მაშ საქმე იმაშია, შეგვიძლია, თუ არა მოძღვრება გაუწიოთ ხალხს გაზეთის საშუალებით? შეგვწევს თუ არა იმდენი ღონე, რომ ძლევამოსილად გაუმკლავდეთ თანამედროვე ბნელ ძალებს? გვყვანან თუ არა ასეთი მებრძოლები? თავდადებული მებრძოლების რა მოგახსენოთ და ძალა კი გვაქვს; არ ვიტყვი, გადამეტებული გვქონდეს, მაგრამ იმდენი კი, — რომ შინაურ მტრებს შეგვიძლია გავუმკლავდეთ. საჭიროა მხოლოდ მონდობა და პირველ ყოვლისა თავის მოვალეობის შეგნება, რომელიც თბილ-თბილ ადგილებში და ოქროების ჩხრიალში კი არ მდგომარეობს, არამედ ღვთის მოცემულ ნიჭისადაგვარად პირმეტყველ ცხოვართა დამწყსაში. ვიჟიორებთ, ძალა გვაქვს, თუ კუქის საკითხებმა არ გაგვიტაცა.

აგენტურაც მშვენიერად გვაქვს მოწყობილი, თვითეული მღვდელი თავის მრევლში აგენტია მრთელ აზრების გასავრცელებლად. მღვდელს თითქმის ყოველ დღე აქვს შემოხვევა თავის აზრი შეიტანოს მრევლის ოჯახში; ხშირად

არის ხოლმე კვირა უქმი დღეებში ხალხი სალაცხოებზე თავშეყრილი. მეტი სულაც არ იქნება ამ დროს მღვდელმა ან დიაჩონმა ან სკოლის მასწავლებელმა გაზეთი წაუკითხოს ხალხს. დილას წირვამდისინაც, დრო აქვს მათ ეს ოპერაცია შეასრულონ. ამ ნაირად გაზეთის კითხვას შეჩვეული ხალხი, მერმე თვით გამოიწერს საკუთრად გაზეთს და ასე გაიკაფება ხალხის განვითარების გზა.

ბოსლეველი.

მოღსა წინასწარმეტყველი*) და ივ. გომარტლის იჟიბოჟია.

„რაცა ვისა ღმერთმან მისცა, დასჯერდეს და მას უბნობდეს“. — რა ბედნიერი იქნება კაცობრიობა, რომ ყოველი კაცი ხელი გულზე დაიწერდეს ამ მარგალიტ სიტყვებს და ეცდებოდეს, განახორციელოს იგი ცხოვრებაში! რაღა სჯობია იმას, რომ კაცი მას ამბობდეს და მას მოქმედობდეს, რაც იცის, რის გაკეთებაც შეუძლია! რას ემგვანება ჩვენი ისედაც არეული წუთი სოფელი, ყველა ექიმებმა რომ ერთბაშით ხარაზობა დაიწყონ და ხარაზებმა ექიმობა, ან კიდევ მასწავლებელმა მოსწავლეობა და მოსწავლემ მასწავლებლობა?! კეშმარიტად აირევა ქვეყნიერება და არკი არეულიც მიტომ არ არის, რომ ყოველი კაცი თავის საქმეს გადაუდგა, თავის მოვალეობას გვერდი უხვიან?!.. ვაჭარმა თავის სავაჭრო დახლი მიატოვა და პოლიტიკობა დაიწყო. მილიონერმა — სოციალისტობა, მესაკუთრე გლეხმა — პროლეტარობა, ვეცხლის მოყვარემ — სანდონობა, მღვდელმა მუნჯობა, ბაღლმა ქადაგება, ექიმმა ღვთისმეტყველება, კატამ ბღავილი, ხარმა კნავილი, თხამ სისინი, გველმა კიკინი. ერთი სიტყვით, „აირია მონასტერი“, როგორც იტყვიან.

ამ არეულობაში გომართელმაც (როგორც ექიმმა) ღვთისმეტყველება დაიწყო და სწორეთ იქილგან, საიდვანაც უნდა დაეწყოს, ე. ი. ბიბ-

*) იხ. „Наша жизнь“ № 1.

ლიის პირველი წიგნიდან, შექმნათა წიგნის პირველი თავიდან! თუ თავიდან ბოლო იცნობა, ბ. გომართელი განადგურებას უნდა უპირებდეს მთელს სამღვთო წერილს და მასთან ჩვენ, მოწმუნეთა, იმედებსაც.

ბ. გომართელი სცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ მოსეს ღვთის ჩაგონებით კი არ უწყერია თავისი წიგნები, არამედ გადმოუღია თანამედროვე განათლებულ ხალხებიდან, ასსირიიდან და ბაბილონიდან. ამის დასამტკიცებელ საბუთს იგი იმაში პპოებს, რომ დაბადების თქმულება ქვეყნის შექმნაზე, პირველ ადამიანთა ცოდვით დაცვაზე, სჯულის დებაზე და წარღვნაზე ცნობილი იყო დიდხნით წინეთ (800 წლის წინეთ) მოსემდის. იგი იცოდა ბაბილონმა, საიდანაც გადმოიღო მოსემო. თვით სახელი „იეგოვა“ ბაბილონიდან არის ნასესხევიო. მოსე განათლებული კაცი იყოო, ამბობს გომართელი—არ შეეძლო არ ცოდნოდა ბაბილონის და ასსირიის კულტურაო და ამ კულტურის გავლენის ქვეშ და არა ზეჩაგონებით დასწერა მან თავისი ხუთი წიგნიო (იხ. Наша жизнь № 1 ს. 1.).

საიდან იცის ბ. გომართელმა ესე ყოველი? ჩვენ დარწმუნებული ვართ მას არ წაუკითხავს, არა თუ სოლოური ნაწერები შეფე ასურბანიპალის ბიბლიოთეკისა, არამედ შექმნათა წიგნის პირველი თავი კი; რომ წაეკითხა ასე აღვილად არ აღიტაცებდა სიხარული და ცოტა დინჯად მოეკიდებოდა საქმეს. იგი დაფუძნებია უ. დელიჩის პატარა წიგნაკი „ბიბლია და ბაბილონი“, რომელიც უფრო მეტს ოცნებობს, ვიდრე მეცნიერებს და ამ საფუძველზე უკიეინებს მოსეს, შენი ბიბლია ნასესხევიო. პირველი იერიში ბ. გომართელს ათ მცნებაზე მიაქვს და ამბობს, ეს მცნებები სავსებით სწერია მეფე ამშურაბის კანონებშიო, რომელიც რვაასის წლის წინეთ ცხოვრებდა მოსეზეო. თუ გაეზარდება ბ. გომართელს, ვიტყვიო, რომ ეს მცნებები მეფე ამშურაბედაც უხუცესია. იგინი კაცობრიობის ხნისანი არიან, რადგან თვით ადამიანის ბუნებას შეადგენენ. რომ ასე არ იაოს არც მისი დაკანონება შეიძლებაო, რადგან თუ კანონი ადამიანი ბუნებას

არ შეეგუება, მისი აღსრულება შეუძლებელია. ამიტომ საქმე იმაში არ არის, ვინ ჩასწერა პირველად ეს მცნებები ამშურაბმა, თუ მოსემ, არამედ იმაში თუ ვინ დასდვა ეს კანონი კაცის ბუნებაში? მეორეს მხრით, უნდა ბოდიშის მოხდით მოეხსენოთ ბ. გომართელს, რომ იგი ცოტა შემცდარი აზრისა სამღვთო განცხადებაზე, ან ზეჩაგონებაზე. მას ჰგონია, რაც ზეჩაგონებულია, ე. ი. კანცხადებული ღვთისაგან, უთუოდ ახალი უცნობი, ორიგინალური უნდა იყოს, მაშინ როდესაც საეკლესიო სწავლით სრულებით ასეთი თვისება არაა საჭირო, რომ რომელიმე დებულება ღვთისაგან განცხადებულ ქეშმარიტებად მივიღოთ. „რომ ისრაილების სარწმუნოება ღვთის განცხადებულია, ეს სრულებით არ გვაძულებს ჩვენ დავიგინოთ, რომ ყოველი დებულება ამ სარწმუნოებისა, უცხოა ყვილა დანარჩენ სარწმუნოებათათვის და მიუწომელი ბუნებითი განვითარების გზით. პავლემოციქულის სიტყვით, წარმართთაც ძალუძსთ „ქმნა სჯულიერისა“, თუმცა სჯული არა აქვთ. (რომ. 2, 14). აგრეთვე ცნობილი ეკლესიის მოძღვრის სიტყვით, ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია. ამიტომ წარმართთა სარწმუნოებაშიდაც შესაძლებელია იყოს ისეთი შეხედულება და კანონები, რომლებიც ჰგვანან ქეშმარიტ სარწმუნოების კანონებს აზრით და მიმართულებით. სხვერპლის შეწირვა, მარხვა, ლოცვა, დღესასწაულები, ქურუმთა დაწესებულება, ყოველივე ეს ამა თუ იმ ფორმით იყო წარმართთა შორისაც და წარმოიშვა ადამიანის სულის თანშობილ მოთხოვნილებათა ნიადაგზე. ყოველივე ამან მხოლოდ ისრაელეზ შორის მიიღო სამღვთო დაკანონება, განიწმიდა განცხადებული სჯულის მეობებით სხვა-და-სხვა ზღაპრებისაგან და შეუთანხმდა სანღვთო განგების მიზანს შესახებ ჩვენის გამოხსნისა. მცნებები: „არა კაც კლა“, „არა იპარო“ და სხ. ცნობილი იყვნენ სხვა ხალხთ შორისაც, გარდა ებრაელებისა; ცნობილი იყვნენ იგინი აგრეთვე ებრაელთა შორისაც დიდი ხნის წინეთ სინას სჯულიდებამდისინ. გარნა ჩვენ ვუწოდებთ მათ ღვთივე განცხადებულ მცნებებად მატომ, რომ სინას მთა-

ზე ღმერთმა განაღდა იგიანი სავალდებულოდ აღრჩეული სახლისათვის. ამიტომ შესაძლებელია ამჟამის კანონებს რაიმე მსგავსება ჰქონდესთ მოსეს მიერ განცხადებულ სჯულთან, მაგრამ ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენ რწმენას შესახებ იმისა, რომ ძველი აღთქმის სარწმუნოება განცხადებული ხასიათისაა, ღვთის განცხადებულია.“ (იხ. Библия и Вавилонъ В. П. Р-ский ч. 1). ამნაირად აღვიარებთ ჩვენ სამღვთო განცხადებას და არა იმნაირად, როგორც ბ. გომართელს ჰგონებია: ვითომ რაც ღმერთმა სთქვა, ან განაცხადა ყოლიფერი ახალი უნდა იყოსო. ამის შემდეგ რაღა გასავალი აქვს გომართელის იტიბოქიას? სამღვთო განცხადების ხასიათი მაშინ დაეკარგება ძველი აღთქმის სარწმუნოებას, თუ ბ. გომართელი დაგვიმტკიცებს, რომ სინას მთაზე მომხდარი ამბავი ზღაპარია და არა ნამდვილი მომხდარი ფაქტი. და აი სწორედ აქედგან უნდა დაეწყოს ბ. გომართელს თავის იტიბოქია და არა იტიდგან, საიდგანაც იწყებს.

მეორე იერიში ბ. გომართელს მიაქვს მოსეს თქმულებაზე შესახებ ქვეყნიერების გაჩენისა იმ იმედით, რომ ასეთივე თქმულება აღმოაჩინა ბ. დელიჩმა ასურბანიპალის ბიბლიოთეკაში. მოვიყვანთ ამ თქმულებას ისე, როგორც აწერილია ასურბანიპალის ბიბლიოთეკის სოლურ ნაწერებში და მივანდობთ მკითხველებს, შეადარონ იგი მოსეს თქმულებას.

სანმანინი.

(შემდეგი იქნება).

ხველანი სწორად ვიდოდეს!

აღმა აფრინდი ოცნებაე,
 „ასცილდი მზეს და მთვარესა“,
 მიუახლოვდი ვარსკვლავებს
 „მოციმციმ მოვლევარესა“.

იქედან თვალი მოავლე
 მთელ ქვეყნის არემარესა,
 შეიტყვე: ვინ სწუხს, ვინ ღვინობს,
 ვინ სვამს შხამსა და ნალველისა.

ფრთა გაჰკარ ღრუბლებს, გაფანტე,
 ბოროტად წინ ნუ მხედებიან,
 იქ მიმაფრინე, სადაც რომ
 გონება ვერა სწვდებიან.

მსურს, ერთ წამს მაინც შევსწვიტო
 ფიქრი ჰქონსა და ვარამზე...
 გასწი, ოცნებაე, გაფრინდი,
 გაფრინდი, ფრენა განავრძე!..

სადაც რომ ცისა სამყარო
 ვარსკვლავით მოქედილია,
 იქ, ვარსკვლავთ გუნდში შემრიგ,
 ცოდვილი, მიწის შვილია.

იქ მინდა, წმიდა გრძნობებით
 ლოცვა შევსწირო ზეცასა,
 და ჩემი გულის წადილი
 ვამცნო მთვარეს და მზესაცა.

გულმა მირჩია: გეყო, რაც
 ქვეყნად ცრემლები ღვარეო,
 ლოცვით დაატკბე ტანჯული
 გულისთქმა, სიმწუხარეო.

ლოცვას დავიწყებ გალობით,
 ვარსკვლავნო დამეხმარეო,
 შექუტურ-მარიხი მომძახებს,
 ბანს შეტყვის მზე და მთვარეო.

გემდური ბედს ვარსკვლავო,
 სვე-ბედი დამიცარეო,
 მუდამ ბედმრუდად, რომ გყავვარ,
 რა ჩემზედ მოიცილეო?!.

ღმერთო, ძლიერო, შენ უწყი,
 სიცოცხლე განველე მწარეო,
 საფლავის კარზე მისული,
 აწ მაინც გამახარეო!..

შენ გაქებს ყოველი სული,
 ვარსკვლავნი მზე და მთვარეო,
 მკურნალო, შენ გვიმკურნალე,
 შეილურათ შეგვიყვარეო!..

რა არის ჩვენი ცხოვრება?—
სიცოცხლე გამწარებული,
ტანჯვა, წვალემა მუდმივი,
გულ-წყლული, დანაღვლებული!..

შენი ვართ, შენდა მოვივლტით,
შენივე დაბადებული,
შენი გულუხვი წყალობის
იმედზე დამყარებული.

მრავალწლოვანი ტანჯვითა
ცხოვრება დანაღვლებული
გამოგვიცვალე, შეგვქმენი
ყველაფრით გალალეებული.

ჩემთვის დიდებას არა გთხოვ,
დღემდისაც არ ვარ ჩვეული,
ხალხის ტანჯვა და წვალემა
გულზედ მაქვს ლახვრად ქცეული!..

ქვეყნის უკუღმა ტრიალი,
რისგანცა გამოწვეული,—
მოსპე, აღგავე, აღარ ჩნდეს
მტანჯველად გადაქცეული!..

აღყვავდეს მთელი ქვეყანა,
აღყვავდეს კაცობიობა!
მოისპოს ძალა მჩაგვრელი,
მოისპოს ძალმომრეობა!..

ვისაც რა სურდეს თავისთვის
სხვისთვისაც იგი უნდოდეს,
უფალო, ამ შენს მცნებაზე
ყველანი სწორად ვიდოდეს!

რ. საჯავახოელი

რა მოაქვს უღმრთოებას?

გაგრძელება. 1)

ისევ დავუბრუნდეთ ქრისტეს სიტყვებს:
„აღსდგენ ქრისტე მატყუარნი“...

1) იხ. „შინაური საქ.“ № 4.

„მაშინ მივცენ თქვენ (მორწმუნენი) ქირ-
სა და მაშინ დაბრკოლდებოდენ მრავალნი და
ერთიერთს შინა გასცემდენ და განმრავლებითა
უსჯულოებისათა განხმეს სიყვარული მრავალ-
თა.“ იხილეთ ქრისტეს მიერ ღვთაებური წინა-
სწარ გამოცხადება ამ დაცემულ დროის შესა-
ფერი, თუ ვითარ ყოველი ესე ცხადად სრულ-
დება. ნუ თუ არა ჯერარს შევიკდიმოთ ესო-
დენი თვალთ ნახული ქეშმარიტების წინ? წი-
ნააღმდეგ შემთხვევაში ვაი თუ ისტორიამ მო-
ატრიალოს თავისი მომქცევი ჩვენზედაც მომსე-
რელი ძალა მსგავსად ნოესა, სოდომ-გომო-
რელთა და ისრაელთა სხვა-და-სხვა გვარ მომ-
სრველ სატანჯველ რისხვის მოვლინებით. გე-
კითხებით ცთომილნი ძმანო: კარგი, ცხოვრე-
ბა და წაწყმედა არა გწამთ, მაგრამ ცხოვრება
მაინც სააქაო კეთილ-დღეობით ხომ გწადიან.
ცხოვრება პატიოსანი, ურთიერთ უვნებელი, და
სამშვიდობო. დიად, ეს სჭირია საზოგადოებას;
ცხოვრება კაცური და არა პირუტყული და
ამას არღვეს, აქარწყლებს, შეუძლებელად
ხდის უღმრთოება. მართალია ზოგიერთებს არ
გჯერათ, რომ საუკუნოდ იქნებით და არ იცით
ნამდვილად არის თუ არა მომავალი ცხოვრე-
ბა, მაგრამ თქვენ არც ეს იცოდით ამ სოფელ-
ში იქნებოდით თუ არა. არაფერი იცოდით ამ
ქვეყნისა და ან რით შეგეძლოთ, ვიდრე აქ
დაბადებამდე გეცნათ მსოფლიო ესე ცხოვრე-
ბა და გერწმუნათ თქვენი აქ დაბადება? მაგ-
რამ თქვენ რომ არ იცოდით ისე შემზადებუ-
ლა ეს ქვეყანა, სადაც სიცოცხლე და ცხოვ-
რება გონიერი მოგნიკებისათ და აჰა ესერა,
ყოველი ესე არა იცოდით და იქმნა, უხილავი
იყო და ხედავთ. ესრეთ არს სამარადისო იგი
განგება ღვთისა.

ბოლოს შევეხოთ შინაგან ძალთა შო-
რის ჩვენი არსებობის კიდევ ერთს მთავარ ძა-
ლას, რომელ არს იმედი. იმედის თვისება და
ძლიერება ცნობილია ყველასაგან. იმედი მთელ
საადამიანო ქირ-ვარამთა მღელვარე ზღვის გან-
სარინებელი ხომალდია, რომლის უმისოდ აღა-
მიანს ნაბიჯიც არ შეუძლია გადადგას. იმედით
მგზავრობს მგზავრი, იმედით ვაჭრობს ვაჭარი,
იმედით სწავლობს მოსწავლე, იმედით ვთესავთ

და ვფლავთ თესლს დედამიწაში, — ყოვლადვე ყოველსა შინა სიცოცხლის არსებობას წინ უძღვის ძლევა-მოსილი იმედი და ეს იმედი ხომ პირშია ძეა სარწმუნოებისა. სარწმუნოება იმედის თავ-საკიდურია, ვინაიდგან სარწმუნოება შობს იმედს, იმედი შობს ნუგეშინისცემას, ნუგეშინისცემა აღუსუბუქებს ადამიანს კირვარამს და შობს სიმხნეს. ღრწმუნოება კი შობს უიმედობას, უიმედობა უნუგეშობას სასოწარკვეთილებას და სასოწარკვეთილება სულიერად სიკვდილს, რის შემდეგ ადამიანს კირსა და უბედურებასა შინა თავის სიკვდილის მეტი სახსარი არა დარჩენია რა. ამგვარად სარწმუნოება ზე-აღმავალობს და იზიდავს ადამიანს იმედის, ნუგეშის და სიმხნის ფრთებით, ხოლო ურწმუნოება ქვე-ჩამოვებით ითრევს ქვესკნელში უიმედობის, უნუგეშობის, უსასოების და სასოწარკვეთილების ჯაჭვით სიცოცხლის დამღუბველ სულიერ სიკვდილისკენ. სარწმუნოება და იმედი ხომალდია საწუთო ათასგვარ ზღვასავით მღელვარე ტანჯვის დროს, დაუნთქველად განსარინებელია და ძალაა ღერძის გულიდან ადამიანის ზეადმწვევი უღმრთოებით და სულის უკვდავების ურწმუნოებით ადამიანთა ცხოვრება წარემართება მხოლოდ სულით სიკვდილისა და მხეკთა სამეფოსკენ და არა „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოებისკენ, როგორც კეშმარტად ამბობს წინასწარ-მეტყველი: „სთქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა არა არს ღმერთი, განირყვნეს და შეიგინეს უსჯულოებითა, არაინ არს, რომელმანცა ქმნა კეთილი. ყოველთავე მიაქციეს, ერთბაშად უხმარ იქმნეს, არაინ არს რომელმანცა ქმნა კეთილი, არაინ არს მიერთდამე“ (ფს. ნბ.)

ალექსი ბერი.

მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.

თერთა მანდილოსანი:

თერთი მანდილოსანი, როგორც ყველა იცის ბერლინში (გერმანიის დიდი ქალაქია),

დადის გერმანიის ყველა სახელმწიფო სასახლეებში მეხუთე საუკუნიდგან დაწყებული, ვიდრე აქამომდე; უკანასკნელად იგი ნახეს 1850 და 1879 წლებში. იგი დაინახა არა ერთმა და ორმა, არამედ რამოდენიმე ასმა პირმა და არა ყოველთვის საღამოს, არამედ შუა დღისასაც. იგი ცხადდება ხოლმე ნიადაგ ერთ და იმავე თეთრ ტანსაცმელში და სამკერავო მანდილში დიდი ბანტით და კლიტეებით ხელში; იგი მაღალი ტანისაა, პირად ლამაზია და კეთილი გამომეტყველების.

მეთექვსმეტე საუკუნის მეორე-ნახევარში გერმანიაში სცხოვრებდა ახალგაზრდა ლამაზი ქვრივი, ბრანდენბურგ ბაირეთის მარკ-გრაფინია, დაბადებით გრაფინია ორლამიუდე, დედა ორი მშვენიერი კმაწვილისა. იგი შეუყვარდა ბრანდენბურგის მარკგრაფს და გრაფინიაც სამაგიეროდ ყვარობდა მას. ეს სიყვარული პლატონიური იყო (უბიწო). გრაფის ნაზი ლექსები და სიმღერები ვერ აკმაყოფილებდა მის ვნებათა ღელვებს. ერთხელ მან უთხრა მარკ-გრაფს: „რათ ბარემ ცოლათ არ შეპირთავეო“? ამ უბრალო კითხვამ გაათითრა მარკგრაფი (რომელიც, უნდა შევნიშნოთ, კოლიანი იყო და მასთან საიდუმლო ლიუტერანი, ხოლო გრაფინია კი კათოლიკე სარწმუნოების აღმსარებელი). მან გამოცანასავით პასუხი მისცა, რომ მათ შეუღლებას უშლის ორი რამო, ხოლო რა იყო ეს ორი რამ, არ აუხსნა. გრაფინია ბევრი ეცადა ეთქმევიანება გრაფისთვის თუ რაში მდგომარეობდა ეს ორი დაბრკოლება, მაგრამ ამაოდ, იგი ეუბნებოდა: რომ ამის თქმა არაფრის გულისთვის არ შეეძლო. ვნებათა ღელვისაგან დაბნელებულმა გრაფინიამ იფიქრა, იქნებ ამ დაბრკოლებას გრაფი ჩემ ორ შვილში ხედმეიდესო და დიდხანს არ უფიქრნია ამაზე, ისე დაახრჩო თავის ორი პატარა ბავში. პირველ ნახვადევე მან განუცხადა გრაფს, რომ მათ შეუღლებას აღარაფერი აბრკოლებსო და გაუტყდა თავის უგნურ საქციელში. მაშინ თავზარ-დაცემული გრაფიც კი გაუტყდა თუ რაში მდგომარეობდა მისი ორი დაბრკოლება, მაგრამ გვიან იყო. გრაფინიამ უწოდა მას ბავშვების მკვლელი და თითონაც თავი

მოიკლა; სიკვდილის წინ სასტიკად დასწყევლა გრაფი და მისი ჩამოშავლობა, და დასდევ აღთქმა, რომ მასაც და მის გვარეულობასაც (ჩამოშავლობას) გამოეცხადებოდა სიკვდილის წინ.

ამის შემდეგ გრაფინია ორლამიუდე, გერმანიაში თეთრი მანდილოსნის სახელით ცნობილი, საშუალო საუკუნოების განმავლობაში ხშირად ეცხადებოდა მარკგრაფის ჩამოშავლობას.

დიდმა კურფიურსტმა ფრიდერიკ-ვილგელმმა, რომელმაც დააარსა პრუსიის სახელმწიფო, სახელი განითქვა მრავალი ძღვევა-მოსილი ომებით პოლონელებთან და შვედებთან, შვილმა მისმა ფრედერიკ I, რომელიც იყო მამა ფრედერიკ დიდისა, მეფე-ფელთბეგებელ ფრედერიკ-გილგელმა I—თვითეულმა ნახა თავის სიკვდილის წინ თეთრი მანდილოსანი. ესენი სამივე ფოლადისებური ძარღვების მექონნი იყვნენ და სრულებით მეოცნებენი არ ყოფილან, მით უფრო, რომ სამივე შემთხვევაში გარდა კურფისტიისა და ორივე მეფისა, იგი ნახეს კიდევ მათმა სახლობამ, სასახლას მოსამსახურეებმა და სხვ: ნელა, მსგავსად ნისლისა, მოჩვენება დადიოდა კენიგსბერგის, ბერლინის და პოტსდამის სასახლის სხვა და სხვა სავენებში; ჩნდებოდა მომაკვდავების საწოლ ოთახებში და იღვა ან ფეხით და ან თავით.

პრუსიის ტახტზე აღვიდა ფრედერიკ მეორე დიდი, ფილოსოფოს მატერიალისტი, რომელსაც სრულებით არაფერი სწამდა. „თეთრ მანდილოსანზე“ ბევრი რამ გაეგონა მნახველებისაგან, როგორც ბავშობაში, ისე შემდგომაც, და ვოლტერთან ერთად დასცინოდა ცრუ მორწმუნეებს. დაუწყნარებელი ომები და სხვა სახელმწიფო საქმეები არ აძლევდენ მეფეს საოცნებო დროს. ის იყო თავისუფალი მოაზრე, ღვიძლი შვილი მეფურამეტე საუკუნისა. 1786 წლის ივნისიდან მოხუცი ფრედერიკი ხშირად ავადმყოფობდა, სიბერე თვალ და თვალ ერეოდა გმირს. მას არ სწამდა ექიმობა და დასცინოდა სამკურნალო მეცნიერებას, მაგრამ ძძულებული იყო დაეთმო ნათესავებისთვის და მიხდომოდა ექიმებს, ამასთან მომართოლი ქალის მაგიერ მან აიყვანა მოხუ-

ცი გუსარი (სალდათი), რომელიც მასთან ერთად იბრძოდა ქ. როსბახთან. მოხუცი გუსარი ერთ ნაბიჯზე არ სცილდებოდა თავის მეფეს; როგორც ერთგული ძაღლი, სულ თვალელებში უყურებდა მას და ყოველ მის განძრახვას ტყობილობდა და უსრულებდა. 3 აგვისტოს 1786 წ. დარაჯმა, რომელიც იღვა სასახლეში, რის შიშით შეატყობინა გუსარს, რომ მან დაინახა თეთრი მანდილოსანი. გუსარმა გალანძლა დარაჯი გლახა სიტყვებით, მაგრამ მაინც მოვალეობად მიიჩნია, ეს ამბავი მეფისთვის გაეგებნებია.

— ქორია! მიუგო ავადმყოფმა.—დარაჯს ორასი ტყვია უნდა დაეყარა... მაგრამ ეშმაკმა სწიკოს; შენ კი ნუ იმეორებ ქორებს. ეს უთუოდ ვინმე მოსამსახურე ქალი იქნებოდა, რომელსაც დაპირებული ეყოლებოდა პაეი ან ლაქია, შეიძლება კიდევ მოელანდა გაღვიძებისას.

მეორე დღეს, საღამოს, 4 აგვისტოს, მეფე სავარძელში იჯდა და სთვლემდა; გუსარი გვერდით უჯდა. უკანასკნელმა უეცრად შენიშნა ბუხართან რაღაც თეთრი სურათი; მეფის შეწუხება ვერ გაბედა, თითონ კი მიაშტერა თვალები და ცხადად დაინახა თეთრი მანდილოსანი.

- ხედავ? ჰკითხა მეფემ ხრინწიანის ხმით.
- ვის, მეფე?
- თეთრ მანდილოსანს ბუხართან?
- ვხედავ ბატონო.
- სჩანს ქალების ზღაპარი მართალია, განაგრძო მეფემ და თან მშვიდობიანად უკვირდებოდა მოჩვენებას.—დაიკარგოს საიდგანაც მოსულა.
- ამბობენ არიან ისეთი ლოცვები...
- შეიძლება, მაგრამ მე იგინი არ ვიცი, ღიმილით უთხრა მეფემ. მას ხელახლა წაეთვლინა. მოჩვენება ნელნელა გაქრა, როგორც კომლი. საღამოს ეს ამბავი მთელმა სასახლემ შეიტყო და შემდეგ ქალაქმაც. მეორე დღეს 5 აგვისტოს 1786 წ. ფრედერიკი გარდაიცვალა.

1810 წელს, როცა მეფე თავის ოჯახობით პოტსდამში წასახლდებოდა ეშხადებოდა

„თეთრი მანდილოსანი“ ორჯერ გამოცხადდა დედოფალ ლუიზას. აი როგორ მოგვითხრობს ამ ამბავს გრაფინია ბლუდოვა თავის „მოგონებებში“. (რუს. არხ. 1873, № 11, სტრ. 2088-2090).

დედოფალი უკვე მზად იყო, პოტსდამში საზაფხულოდ წასულიყო. იგი ქ-ნ ბიშოფსვერდენთან ერთად სასახლის დიდ ოთახში იყო და რალაცას აკეთებდა. დედოფალი უეცრად შეკრთა: „ხედავ“? მიამახა მან მხლებელ ქალს და უჩვენა წინა კედლისაკენ.


ფრეილინამ მოიხედა და დაინახა, რომ კედლის გასწვრივ მიდიოდა ვიღაც უცნობი თეთრით მოსილი ქალი, თეთრ თმისანი, ლურჯი, როგორც მკვდარი, პირისახით. ფრეილინას ერთნაირად დაუარა: „კიდევ უბედურებას გვიქადის“, სთქვა დედოფალმა. ორივე დარწმუნებული იყო, რომ ეს მოჩვენება იყო „თეთრი მანდილოსანი“. ორი-სამი დღის შემდეგ დედოფალი სრულიად მზად იყო პოტსდამში და შარლოტენბურგში წასასვლელად. იგი ჩამოვიდა ძირს კარეტაში ჩასაჯდომად. ფრეილინაც უკან მოჰყვებოდა; უკვე გაიღო კარეტის კარები; ვიღაც კარის კაცმა ხელი მოჰკიდა დედოფალს, რომ კარეტაში ჩაეჯინა; დედოფალმა უკვე აიღო ფეხი შესადგმელად, რომ ისევ უკან გამობრუნდა და კარებთან გაჩერდა. ფრეილინამ იფიქრა, დედოფალს ფეხი დაუცდაო და მივიდა საშველად, მაგრამ იქვე გაშტერდა. დედოფალსა და კარეტას შუა, თვით საფეხურთან ნელა და მშვიდად მიდიოდა იგივე „თეთრი მანდილოსანი“, რომელიც პირდაპირ თვალებში მისჩერებოდა დედოფალს. ერთი წამის შემდეგ დედოფალი საჩქაროდ ჩაჯდა კარეტაში და გაემგზავრა. მასთან იყო ფრეილინაც. „მადლობა ღმერთს“ სთქვა ლუიზამ, ეს მე შეხება: მე ვერ დავბრუნდები ცოცხალი“!

პუშკინის ჩვენება.

შესანიშნავი რუსეთის მწერალი პუშკინი სიყმაწვილეში არ ყოფილა განსხვავებული მორწმუნე კაცი. ერთხელ იგი და ლანსკი ერთად ისხდნენ და მუსაიფობდნენ, ამასთანავე ორივე სასტიკად დაიცინოდნენ სარწმუნოებას.

უეცრად ოთახში შემოვიდა ვიღაც ყმაწვილი კაცი, რომელიც პუშკინს, ლანსკის ნაცნობი ეგონა, ხოლო ლანსკის პუშკინისა. იგი მოუჯდა მათ და დაუწყო მუსაიფი. მან ისეთი საბუთები მოაყვანა სარწმუნოების სასარგებლოდ, რომ მყისვე დაუყო მათ პირი ასე, რომ არც კი იცოდნენ, რა ეთქვათ და, როგორც დარცხვენილი ბავშვები, სდუმდნენ და ბოლოს განაცხადეს, რომ სრულიად გამოიცვალეს აზრი სარწმუნოებაზე. მაშინ უცნობი ადგა, გამოემშვიდობა და გავიდა გარეთ. რამოდენიმე ხანს თანამზრახველნი გონს ვერ მოვიდნენ და გაჩუმებული იყვნენ; ბოლოს დაიწყეს ლაპარაკი და აქ გამოიჩინა, რომ არც ერთმა და არც მეორემ არ იცოდნენ, ვინ იყო ეს ყმაწვილი. მოიხმეს შინაურები და მათ აუხსნეს, რომ ოთახში არავინ არ შემოსულა. პუშკინსა და ლანსკის არ შეეძლოთ არ ეცნოთ ამ უცხო სტუმარში, რალაც არა ბუნებრივი მოვლენა, მით უფრო, რომ პირველ მის შემოსვლისთანავე რალაც განსხვავებული შიში იგრძენეს. ამის შემდეგ იგინი უფრო ფრთხილად მსჯელობდნენ სარწმუნოებაზე.

სანმანინი.



(შემდეგი იქნება).

ყოვლად სამღვდლო ივერეთის ეპისკოპოსის ლეონიდეს გადაყვანა.

ჩვენ არეულ წუთი სოფელში ყოლიფერი მოულოდნელად ხდება. კაცი ვერ იტყვის თუ ხვალინდელი დღე რას მოიტანს. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ყოვლად სამღვდლო ლეონიდე ასე მოულოდნელად მოსწყდა იმერეთის ეპარქიას და გადაყვანილ იქმნა გურია-სამეგრელოში. ათ თებერვალს უქაზი მოვიდა უ. სინოდის, რომლითაც უბრძანებდა ყოვლად სამღვდლო ლეონიდეს დაუყონებლივ წასულიყო ახალი დანიშნულებისამებრ და, რაც შეიძლებოდა, მანაც სისწრაფით შეასრულა სინოდის განკარგულება. 17 თებერვლისთვის დანიშნა ყოვლად სამღვდლომ გამოსაოხოვარი წირვა თავის კრებულის და 18-ს დღით ორ-

შაბათს დილის მატარებლით გაემგზავრა თავის ახალ სამწყსოში. ქუთაისის მორწმუნე საზოგადოება ბლომად დაესწრო თავის მწყემსთმთავრის გამოსათხოვარ წირვას, ყოვლად სამღვდელმაცემს განკარგულება მოახდინა, წირვაზე იგი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად მოეხსენებიათ. პირველ მოხსენებაზედვე გულის შემზარავი ვიში გაისმა ტაძარში და ბევრს ცრემლი წასქდა თვალთაგან. წირვის შესრულების შემდეგ მთელმა ქალაქის სამღვდელოებამ სამშვიდობო პარაკლისი გადაუხადა ყოვლად სამღვდელმაცემს, რომლის შემდეგ კათედრის დეკანოზმა მ. ჯ. ტეიშვილმა გრძნობიერი სიტყვა უთხრა, რომელშიდაც გამოხატა მისი ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი სამსახური იმერეთის ეპარქიაში. სიტყვის შემდეგ ქალაქის სამღვდელოებამ ეპარქიის სამღვდელოების სახელით შესაფერი ზეწარწერით მაცხოვრის ხატი მიართვა ყოვლად სამღვდელმაცემს, რომლის შემდეგ მღ. ს. მ. შემდეგი სიტყვა უთხრა:

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავე, კეთილმოღვაწეო მწყემსთმთავრო!

ჯერ კიდევ სულმნათი გაბრიელი, ანგელოზი ივერიის ეკლესიისა, ცოცხალი იყო, როდესაც იმერეთის ეპარქია მთელი თავის შემადგენელი ნაწილებით შენ შემოგყურებდა, როგორც კანონიერ მემკვიდრეს ქუთათელის კათედრისას. აღრჩევითი წესი არ ყოფილა შემოღებული, მაგრამ ხალხის გულში შენ უკვე აღრჩეული იყავი მწყემსთმთავრად. მიესვენა სულმნათი მამა გაბრიელი და მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ შესრულდა ხალხის სურვილი, რამოდენიმე წლის შემდეგ იხილა სამწყსო თავის აღრჩეული მწყემსთმთავარი. სამწყსო ხარობდა და ელოდა, რომ შენ ჩაუდგებოდი სათავეში მის ზნეობრივ და სარწმუნოებრივ განახლებას ისე, როგორც მამა გაბრიელი. სამწყსო არ მოტყუებულა! შენ არ დაგიშურავს შენი ძალღონე, რომ გაგემართლებია მისი მოლოდინი. შენ სათავეში უდექი ყოველ კეთილ განძრახვას, კეთილდაწეებულებას, რომელიც ხელს უწყობდა მართლმადიდებლობის განმტკიცებას. შენ კარგად გესმოდა, რომ საქართველო, ეს ერთი მუქა ხალხი, მართლ-მა-

დიდებლობამ შეინახა სხვა ხალხთა შორის გათქვეფისაგან და დღესაც იგია მისი დროშა, რომლის ქვეშ იგი მუდამ იცოცხლებს. ამისთვის, სანამ მშვიდობიანობა ხელს გიწყობდა, შენ მოვლევ მთელი შენი ვრცელი ეპარქია, არ დაგიტოვია ერთი უკანასკნელი სამრევლო, სადაც არ მისულიყავ და არ დაგეთესა თესლი კეთილი, თესლი ზეცით მონატანი, თესლი წმიდა სახარებისა. ამისთვისვე შენ დაუახლოვდი სამღვდელოებს, უფროსობის მაგიერ მიიღე მათთან ამხანაგური განწყობილება, რომ შენი ასეთი ქცევით გაგემხნევებია ის, მიგეზიდა ხალხის და სარწმუნოების სარბიელზე სამუშევრად, და გაგეხადა ის შენთან ერთად კეთილ მუშაკად ქრისტეს ყანაში, სადაც თქვენ თითონ მბრძანებელი კი არ იქნებოდით, არამედ მესვეური. ბევრმა ვერ იცნა შენი ასეთი მიმართულება, ვერ დააფასა შენი ასეთი განძრახვა და მის მაგიერ, რომ გვერდში ამოგდგომოდა ამხანაგ თანამშრომლად, შენვე უარგყო. შენ მაინც მედგარად დაუხვდი ამ უარყოფას, შენ მაინც არ დაყარე იარაღი და შეუდექი სიტყვით ბრძოლას იმ დროს, როცა ქუჩებში მახვილით იბრძოდნენ, შეუდექი არა საერო ბრძოლას, არამედ ბრძოლას სულიერს, ბრძოლას ჯოჯოხეთის ძალებთან, რომლებსაც სარწმუნოების განადგურებაზე უნდოდათ აღეშენებიათ ხალხის ბედნიერება!.. ჩვენი საკათედრო სობორო მ. გაბრიელის მოღვაწეობით აღშენებული და თქვენგან განშენებული, მოწამეა შენი ღრმა, მოფიქრებული, დროის შესაფერ მოძღვრებისა. მხოლოდ რამოდენიმე წელიწადს შესწყდა ამ წმიდა კათედრაზე ხმა მლაღადებელისა და შენის მეოხებით ხელახლა გაისმა იგი. არ შესწყდება იგი შემდეგში: შეჩვეული სამწყსო მოითხოვს, რომ მწყემსთმთავარი პირველად სჯულის მასწავლებელი იყოს.

დიდხანს არ დაგცალდა, მეუფეო, აქ ყოფნა, რომ სავსებით შეგესრულებია სამწყსოსადმი შენი სამსახური და მოვალეობა!.. შეინძრა დიდი რუსეთი, შეჩოჩოლდა პატარა საქართველოც. შეირყა ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ბოძები. გუშინდელი მორწმუნე და მორჩილი შვილი დღეს ფეხქვეშ თელავს ეკ-

კლესიას, ცრუ მორწმუნობად აღიარებს სარწმუნოებას, ლანძღავს ზნეობას, ანადგურებს ნათესაობას, უარყოფს სამღვდელეობას, სიცრუეს უწოდებს უმაღლეს ჭეშმარიტებას! საჭიროა კაცი მორწმუნე, მეცნიერებით აღჭურვილი, ენერგიით სავსე, თავდადებული მებრძოლი, საჭიროა დამცველი მამა-პაპათა სარწმუნოებისა, იმ სარწმუნოებისა, რომელმაც განანათლა მთელი კაცობრიობა და რომლის განადგურება სიკვდილი იქნება ამ უკანასკნელისა. ვინ გამოვიდა სარწმუნოების დამცველად ამ ვაგლახ დროს? ვინ აღიმაღლა ხმა ცრუ მოძღვართა წინააღმდეგ იმერეთის ეპარქიაში და საზოგადოდ მთელ საქართველოში? შენ, დაუვიწყარო მწყემსთმთავარო და არავინ სხვამ. ვისიკ ვალი იყო სარწმუნოების დაცვა, პოლიტიკაში გაება და სრულებით დაავიწყდა, რომ ქრისტე პოლიტიკური აგენტი არ ყოფილა. დაბალი სამღვდელეობაც სდუმდა ამ დროს, რა თქმა უნდა, და არა თუ სარწმუნოების დაცვა, თავის დაცვაც ვერ მოახერხა იმ ბრალდებათაგან, რომლებსაც ასე უმართლოდ ახვედნენ და ახვევენ მას თავზე. შენ და მხოლოდ შენ იყავი მებრძოლი ამ გაჭირვებულ დროს. განსაცდელს კიდევ არ გაუვლია, იგი ისევ კარზე გვადგია და გაორკვეებულ ბრძოლას თხოულობს. თავბრუ დასხმული ხალხი ეკლესიას ველარ აგნებს, გავერნებული ახალგაზრდობა ღობეყორეს ედება, ზნეობისა და სარწმუნოების მტერნი უხვად სთესენ უზნეობისა და ურწმუნოების ღვარძლს, სათნოება დაიკარგა, ბიწიერებამ მოიკვა მთელი ჩვენი მხარე. ასეთ მდგომარეობაში მებრძოლია საჭირო, მებრძოლი თავდადებული, მებრძოლი დაუღალავი. მაშ უდროვია შენი წასვლა, პატიო-ანო ქრისტეს მხედარო! შენ კიდევ არ შეგისრულებია შენი მოვალეობა აქ, არ გითქვამს უკანასკნელი სიტყვა. სამწუხაროა ამ დროს თქვენი დაკარგვა, საზარალოა ეპარქიისთვის თქვენი მოშორება.

მაგრამ ერთი იმედი გვანუგმებს: რაც აქ ჩვენ დაგვაკლდება, ის იქ, იმ ეპარქიაში, ჩვენს ღვიძლ ძაებს შეეძინება. იქაც არ არის საქმე კარგად, იქაც განზნებულა ცხოვარნი, იქაც გან-

საცდელშია სამწყსო, იქაც საჭიროა მწყემსი კეთილი, რომელიც დამწყსის ცხოვართა მგელთაგან. მისი დამწყსვა, ჩვენი დამწყსვა იქნება, მისი შეკრება, ჩვენი შეკრება, მისი მოქცევა, ჩვენი მოქცევა. ჩვენთვის, როგორც მართლმადიდებელთა, ერთია ყველანი: არ არის განჩი ჩვეა ხალხოსნობისა: სიტყვა ღვთისა არ არის ისეთი თესლი, რომელსაც ნიადაგი მიაჩნია; მისთვის სულერთია კაცის გული, ვისაც უნდა ეკუთნოდეს იგი.

მაშ წარგიმართოს ქრისტემ სვლანი შენნი, დაუვიწყარო მწყემსთმთავარო! მოგცეს მხეობა, რომ კეთილად შეასრულო შენი ქვეყნური მოღვაწეობა, რომ პირნათლად წარსდგე მის წინაშე, ვინც პასუხს მოგთხოვს შენის მოღვაწეობისას და კადნიერად უპასუხო: „პა მე და შეილნი ჩემნიო“.

ყველა მოელოდა, რომ ენაწყლიანი მღვდელმთავარი შესაფერი სიტყვით მიმართავდა საზოგადოებას, მაგრამ თავათ აღელვებულმა მხოლოდ რამოდენიმე, მაგრამ დიდმნიშვნელოვან, სიტყვით მიმართა. მან სთქვა: „ბევრი რამ მქონდა და მაქვს შენთან სალაპარაკო, საყვარელო სამწყსო, მაგრამ კაცს ჩემ მდგომარეობაში არ შეუძლია ბევრი ილაპარაკოს. ენა არ მემორჩილება, გული ყელში მეზივება და არ ძალმიძს ხმის ამოღება. მშვიდობით საყვარელო სამწყსოვ, მშვიდობით შეილნო, ძმანო და დანო, მშვიდობისათვის მოვედი და შეიდობას გიანდერძებთ“. აქ ყოველად სამღვდელს ხმა აუკანკალდა და თვალთაგან ცრემლები გადმოსქდა. ხალხში გულის შემზარავი ქვითინი გაისმა. მწყემსთმთავარმა აკურთხა დამსწრე საზოგადოება და სათითაოდ ყველანი ხელზე იმთხვია.

შეორე დღეს დილის მატარებლით ყოველად სამღვდელს ლეონიდე რიონის სადგურამდე გააცილეს სამღვდელეობამ და თავად აზნაურთა და ქალიქის წარმომადგენელთა. უკანასკნელებმა ნიშნად ღრმა პატივისცემისა ხატები მიართვეს და შესაფერი სიტყვები უთხრეს, რომლებშიდაც გამოსთქვებ თავის უსაზღვრო მწუხარება, შესახებ მისი მოულოდნელი გადაყვანისა.

ასე გააცილა თავის საყვარელი მღვდელ-
შთაფარი მორწმუნე სამწყსომ, რა იყო მიზეზი
ყოველად სამღვდლო ლეონიდეს გადაყვანისა?
აი საკითხი, რომელიც ყველგან დაიარება და
ვერსად პასუხს ვერ ჰპოვებს...



I.

ნაღვლიანობის დროს (რუსულიდან).

როცა მაგ სული სევდას მოუტავს,
ჰქრება, ვით ცეცხლი, შიგ სასოება,
როცა წყეული ტყვილი თარეშობს,
ქეშმარიტება კი ითელება:..

როს მხოლოდ მტრები ვარს გახვევია,
უბედურობა თავს დაგტრიალებს,
როს ამ ბრძოლაში ძლიერ იღლები,
ღონე მიხდელი როცა ღვრი ცრემლებს;

არ დაივიწყო, ამ დროს თან გახლავს
სამყაროს გამგე, ღმერთი ძლიერი!
არ შეუშინდე მწარე ტანჯვებსა,—
გრწამდეს, დადგება ღრო ბედნიერი!..

შენი აზრები, შენი მიზანი,
ვთქვათ, რომ მიაღვა გადუვალ კლდესა...
შენი ცხოვრების ტკბილ ოცნებანი
მაზე იმტვრევენ ძლიერსა ფრთებსა.

და არსით გესმის ამ დროს თანგრძნობა,
მით ხარ ბედისგან შენ განამწარი,
წინ!. მას მოითხოვს ქეშმარიტება,
გახსოვდეს, ღმერთი რომ შენთან არი!..

დადი გავუ.

9 მარტი 1908 წ.
ქ. ფოთი.



წერილი ძარბველ სამღვდლოებისადმი.

ძვირფასო თანამშენო! ეს მეოთხე წელი-
წაღია ჩვენი ეკლესია და სამღვდლოება დევ-
ნას განიცდის ერთნაირი მიმართულების პირ-

თაგან. ამ ხნის განმავლობაში იყო ისეთი
დროც, როცა პირში სახალხოთ გვლანძღა-
დენ, ჩვენმიერ სრულებულ დვთის მსახურებას
თვალთმაქცობას უძახოდენ, მატყუარასა და
მძარცველებს გვიწოდებდენ. ჩვენ კი ასეთ თავ-
გასულ პირებს პასუხს ვერ ვაძლევდით, ვით-
მენდით ათასნაირ შეურაცხებას, პიროვნების
ფეხით გათელვას, უკიდურეს ნივთიერ შეიწ-
როებას, თუმცა შრომასა და სამსახურს მრევე-
ლი ჩვენგან ადრინდულზე უფრო სასტიკად
მოითხოვდა. მიზეზი ჩვენი ასეთი წრესგადასუ-
ლი მოთმინებისა უფრო ის იყო, რომ იმ ხა-
ნას ყველა გარდამავალ ხანას ვეძახდით, ახლო
მომავალში ყველა ქვეყნიერი სამოთხის დამყა-
რებაზე ვვოცნებობდით და უკეთესი მომავა-
ლის მოლოდინში გაქირვებას სულგრძელობით
ვთმენდით. რა სამოთხეც დამყარდა ქვეყნად
1906 წლის იანვრიდან ყველამ იცის. დღეს
ცხოვრება ერთნაირ კალაპოტში ჩადგა... ადრინ-
დელი წესწყობილება ჩვენი სახელმწიფოს მარ-
თვა-გამგეობის არც ერთ სფეროში არ შეცუ-
ლილა შესაჩნევით. ყოველი დაწესებულება,
კერძოდ ყოველი თანამდებობის ადამიანი თა-
ვის დანიშნულ საქმეს აკეთებს და თავისას
მოითხოვს. დღეს არავის არ უკვირებენ, ცხა-
დათ მაინც, ხალხის ნაოფლარიდან დიდი ჯა-
მაგირების აღებას, თუ ეს დიდი ჯამაგირები
ხაზინიდან ეძლევათ, თითქოს ხაზინაში ფულე-
ბი ზეციდან ცვიოდეს! დღეს მხოლოდ სამ-
ღვდლოება არის ყბადაღებული, მხოლოდ
სამღვდლოებისაგან ეხიშტებათ აღება საშრო-
მელისა, რომელიც თუ ნაკლები არა, მეტი
მაინც არ არის უბრალო მუშის საშრომელზე.
ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ზოგიერთ
გაზეთებს მიზნათ დაუსახავსთ სარწმუნოების
აბუჩათ აგდება და სამღვდლოების ლანძღვა-
გინება. ისე ნომერს არ გამოუშვებენ, რომ
სამღვდლოებაზე ლანძღვა, ცილისწამება და
კარრიკატურა არ მოათავსონ შიგ. ჩვენ კი,
თითქოს ნიშნად სრული თანხმობისა, გავჩუ-
შებულვართ და ყველა ამავს დიდსულოვნუ-
რად ვითმენთ. მოთმინება, ძვირფასო თანამშე-
ნო, კარგი საქონელია, მაგრამ იმასაც თავის
საზღვარი აქვს. პირადი დამცირებაც რომ მო-

ვითმინოთ, სრულებით არ გვეპატიება გულ-გრილათ ყურება სარწმუნოების დამცირებისა და მისი კანონების ფუნქციონირებისათვის. განა სარწმუნოებრივი გულგრილობით მოიპოვეს უკვდავი სახელი აუარებელმა წმიდანებმა? ხმის გამკემი სარწმუნოებისა და მის მსახურთა ათასგვარ ცილისწამებაზე დღემდის დეკ. მ. ლამბაშიძე იყო, მაგრამ მუდამ მ. ლამბაშიძის საპეკუნო და შემწერე ხომ ვერ ვიქმნებით? „ოდესმე ცანიცა მოუძღვრდებიანო“ და ლამბაშიძე ხომ ხორციში მყოფი, ჩვენისთანა ადამიანია. მოუძღვრდა ეს პატივცემული მამა, მოიქანცა დიდი შრომისგან და ეს დაეტყო მის „მწყემსსაც“, რომელიც, შინაარსის შესახებაც რომ არაფერი ვსთქვათ, ახალ მთვარესავით ბევრში ერთხელ გამოჩნდება ხოლმე და ასეთ გამოცემას კი დღეს არ შეუძლია მკითხველის დაკმაყოფილება. მე სახეში არა მაქვს დავამცირო მ. ლამბაშიძისა და მისი „მწყემსის“ სამსახური. პირიქით, დიდი მადლობის ღირსია მ. ლამბაშიძე, რომ, თითქმის საკუთარი ძალღონით, ოცზე მეტი წელიწადი გაუძღვა გაზეთის საქმეს და შეძლებისამებრ სამსახური გაუწია სამღვდლოებს და საზოგადოებას. დღეს კი ყოველნაირ თანაგრძობას მოკლებული „მწყემსი“ ვერ ასრულებს დანიშნულებას. საჭიროა უფრო ცოცხალი და შინაარსიანი, თუ ყოველდღიური არა, ყოველკვირეული გამოცემა მაინც. დღემდის ასეთი გამოცემა ვერაფერს გაზენდა და ამ შემთხვევაში საყვედური უფრო ჩვენ უფროს თანამებზე, ქალაქის მღვდლებზე ითქმის, რადგან მიყრუებული სოფლის მღვდელი გაზეთის საქმეს ვერ გაუძღვება. ამ ბოლოს ველირსეთ ჩვენი თანამისაგან ყოველკვირეულ გაზეთის გამოცემას. დიდი თანაგრძობით უნდა მივეგებოთ, პატივცემულო თანამანო, მ. ს. მქედლიძის „შინაური საქმეების“ გამოცემას, რომელიც, როგორც გამოსული ნომრებიდან სჩანს, პასუხს გასცემს ჩვენი სარწმუნოებისა და ეროვნების აბუჩათ ამგდებთ. გამოცემა თანდათან ძალას მოიკრებს, შინაარსითაც გაფართოვდება და სრულ წარმოდგენას მოგვცემს ცხოვრების მიმდინარეობაზე. ამისთვის საჭიროა მივაწოდოთ მას გონებრივი და

ნივთიერი დახმარება. ისე კი ეს დიდთ სიმბატური გამოცემა, ჩვენდა სასიხაროდ, დღეგრძელი არ იქმნება. ნუ დაევიწყებთ, რომ გაზეთის გამოცემის სიმძიმეს ვერ იტვირთებს ერთი კაცი, ნამეტურ იმისთანა საშუალებას მოკლებული, როგორც (საწყენათ ნუ მიიღებს) მ. მქედლიძეა. აქ საჭიროა შეერთებული ძალა, რომელსაც არაფერი არ მოუტრეხა გაუკეთებელი. პრინციპიალურად გადავწყვიტოთ საკუთარი ორგანოს აუცილებლობა, თუ გვინდა სარწმუნოება, ზნეობა და საკუთარი პიროვნება დავიცვათ ათასნაირ ცილისწამებელთაგან. დამფრთხალი ცხვრის ფარასავით გაჩერება და ფეხების ბაკუნი ვერაფერს გვიშველის. თუ ჩვენ პოზიციას ვერ დავიცავთ, თუ ქვემარტების ფეხით ვამთელავთ ხმას ვერ გავცემთ, ისევ ის აჯობებს ნახუცარას მივბაძოთ და სხვა საქმეს მოვკიდოთ ხელი. მაგრამ საამისო რა გვიჭირს? თუ სხვები სიცრუეს სიმართლეთ ასაღებენ, ჩვენ რა მოგვიშლის გაზეთის საშუალებით სიმართლედ დავიცვათ? გულშიც ნურაფერს გავღებებს შემცდარ აზრს: ვაი თუ სამღვდლოებამ გაზეთისათვის საკმაო ძალღონე ვერ გამოიჩინოსო. ქართველ სამღვდლოებაში იმდენინასწავლი პირი ურევია, რომ შეუძლიათ ერთი კი არა ორი-სამი გაზეთი გამოსცენ, მხოლოდ საჭიროა შეერთებული ძალა, შრომა და საქმის სიყვარული. ამიტომ მე, ერთი სოფლის მღვდელთაგანი, ვთხოვ ყველა ჩემ პატივცემულ თანამებებს ხელი შევეწყუთ „შინაური საქმეების“ გამოცემას. სავალდებულოთ გავიხადოთ მისი გამოწერა. მივაწოდოთ ვისაც შეუძლია საგაზეთო მასალა და ყველამ კი გაზეთის დასაკვეთი 3 მან. მაინც ამ თავითვე, რადგან თითოეული ნომრის გამოცემა 3-4 თუმანი მაინც დაჯდება და, ჩემი ფიქრით, არც სტამბა იმუშავებს ნისიათ. ნუ დავატებთ თავზე ამ საზოგადო საქმის გაძლოლას მარტო ერთ ჩვენ საშუალებას მოკლებულ თანამებს. ხელი შევეწყუთ ამ გამოცემის გავრცელებას ხალხშიაც, რადგან ის არც საერო წოდებისათვის არის ინტერესს მოკლებული. მომავალ საგზარქიო კრებებზე კი ამ გამოცემისათვის ისეთი საშუალებები გამოვინახოთ,

რომ მისი არსებობა საეკვო აღარ იყოს და ჯგეროვანი სამსახურიც გაუწიოს სამღვდელთა და მორწმუნე საზოგადოებას.

მღვდ. ს. ჭუმბურიძე.

ც რ ე მ ლ ი ს ხ ე ვ ი.

(აღმოსავლეთური თქმულება) 3. აროდმსვისა¹⁾

III.

ერთჯერ ლომზე ნადირობის დროს აბუ-ჯებელი თავის თანხლებულ ურიცხვ ამალით და ჯარით წააწყდა მივარდნილსა და უდაბურ მთა ადგილს.

მაღალსა და ციკაბო მთაზედ ასვლას მგზავრები დიდხანს მოუწოდნენ. როდესაც მწვერვალზე აღწიეს, აბუჯებელს გააჩრუოლა, სადავე მაგრად დაუჭირა თავის ცხენს და ისრე გააჩერა. მის თვალწინ დიდ მანძილზე გადაქიმული იყო ქვიანი და უდაბური ხევი, ბნელი და ბედკრული... გაყვითლებული ბალახის თავთავები და იქი აქა ნახევრად გამხმარი ხეები... შავი ღრუბლები დაბლათ თავს დასტრიალებს ხევს და ახვევს მას სქელს ჩრდილში. დაბნელებული და მცენარეულობას მოკლებულია ხევის გარშემორტყმული მთებიც. მის სისწვრი ცაც, დაღვრემილია... სამარისებურ სიჩუმეს მოუცავს იგი... შავი ყვავი თავს დასჩავეს მას...

— რა სასაშიში და მოწყენილი ადგილია! — წაილაპარაკა აბუ-ჯებელმა, მიუბრუნდა თავის თანამგზავრებს, და ჰკითხა:

— ეს რა ადგილია? რას ეძახიან მას?

— ეს ბატონო, ცრემლის ხევი ვახლავს! უპასუხა მას მოხუცმა მხედართ მთავარმა, სეიდმა, რომელიც ცნობილი იყო თავისი პირდაპირობით და გულ ახდილობით.

— ვასაკვირველი სახელია!.. წაილაპარაკა აბუ-ჯებელმა.

— რისთვის დარქმევია ამ ადგილს ცრემლის ხევი? ცოტა ხნის შემდეგ ისევ იკითხა აბუ-ჯებელმა. — იმიტომ რომ რაც მთელ ქვე-

ყანაში ადამიანთა მიერ ცრემლი იღვრება თავს აქ იყრის... — სიტყვა სეიდმა — ცრემლი იმდენათ ბევრია რომ იმით სულ ერთიან გაჟღენთილი არის ამ ხევის ნიადაგი, და ისრე მწარეა, რომ აქ, როგორც ხედავთ, ვერაფერი ხარობს... აქ ყოლიფერი ხმება და ილუპება...

აბუ-ჯებელმა შეიკრა თვისი სქელი და შავი წარბები და დაფიქრებულათ და მოწყენილათ გასცქეროდა მის თვალწინ გაშლილს სურათს.

ის ჯერეთ კიდევ ყმაწვილი და მგრძობიარე იყო. — და აგეთმა შევხელომა სურათმა ძლიერი გავლენა იქონია მის წარმოდგენაზე. ეს თავზარდამცემი ცრემლის ხევი, როგორც ბნელი მოჩვენება, გაბრწყინვებულ ღღეში, მოულოდნელათ აღემართა მის წინ.

აბუ-ჯებელმა სადავეს თავი მიანება, ხელით ტახტაზე დაეჯინა, წინწამოიწია და ოდნავ თავი დახარა, და ისრე მაგრათ დააცქერდა ხევის გარშემო მიდამოებს და შუაგულს, თითქოს მოელოდა შავსა და რუხეს კლდეებს შორის ადამიანთა ცრემლის მორევის ხილვას. დიდხანს დარჩა ასრე ღრმად ჩაფიქრებული.

გამომეტყველება მისი შავი ლამაზის თვალებისა დაბნდა, წარბები უფრო შეეკუმუნა, და სულის შემხუთველი შავი ფიქრები უეცრივ აღიბეჭდა მის ქაბუჯ სახეზე.

აბდულლახი აღმაცრივ და უკმაყოფილოთ გასცქეროდა მას ქურდულათ. ყმაწვილ მფლობელის თანაშეზრდილმა და საყვარელმა ხასანმა იმ დროს განზე გაიხმო მოხუცი სეიდი და რალაცაზე რიხიანათ დაუწყა ბაასი.

— საკვირველია!.. მტირალი არავინ არსად არა სჩანს... ყველას მზიარულება აზის პირის სახეზე... მაგრამ სეიდ რომ არ დავუჯერო, არ შემძლიან! მართლის მთქმელი მოხუცია... საიღამ არის ამდენი ცრემლი? იკითხა საგონებელში ჩავარდნილმა აბუჯებელმა. საპასუხოთ კრინტი არავინ დასძრა.

— მე გკითხავთ, საიღამ არის ეს ცრემლები? და რატომ ასრე ბლომად არის? ისევ იკითხა აბუ-ჯებელმა.

¹⁾ იხ. „შინ. საქ.“ № 4.

— ზოგი აღამიანები მწუხარენი არიან და ჰგოდებენ, სხვანი ბედნიერნი და მხიარულნი ბენ... შვება და ვაება, სინათლე და სიბნელე — ეს სულ ასრე მომდინარობს ქვეყნიერებაზე... და არა გუშინდლიდამ, არამედ საუკუნიდამ უკუნისამდე!

— ასრე იქმნება ათას წსლიწადს იქითაც, როდესაც ჩვენი ძელებიც კი აღარ იქმნება ქვეყანაზედ! სთქვა აღიმ თავის ბედით კმაყოფილმა, მაძლარმა და მხიარულმა ბრძენმა.

— ასრე სურს ზენას! აღმოოხვრით შენიშნა ბებერმა აბდულლახმა.

— არ შეიძლება ტანჯვა ზეცისათვის სასიამოვნო იყოს! წინააღმდეგ, უპასუხა აბუჯებელმა — არა, მე იგი არა მრწამს..

— მე არა მსურს რომ ჩემს საბრძანებელში ცრემლის ხევი იყოს! ხმა მაღლა და გადაწყვეტით წარმოსთქვა, მიუბრუნდა თავის ამალას და ხელი გავერანეაულ ხევისაკენ გაიშვირა. — დეე აქ ბალახი ამწვანდეს, ყვავილები აყვავდეს, ხეებმა ხშირი ფოთოლი დაისხას, მათზე ფრინველები აქიკტიკდენ, — და ხევი გაცოცხლდეს... აღარ უნდა იქნეს ცრემლის ხევი არა მსურს მისი ცქერა... რაც გინდა ჰქენით, რომ ის აღარ იყოს... გესმისთ?

— ჩვენ თქვენი მონანი ვართ. თქვენი სურვილი ჩვენთვის კანონი არის! უპასუხეს თანამხლებლებმა.

— ბაღლი ჭირვეულობს... თვითონაც არ იცის, რა უნდა! წაიბუტბუტა ბებერმა აბდულლახმა და დაფიქრებულმა კალარა წვერზე ხელი ჩამოისვა. — საჭირო არის იგი გავართოთ, მიესკეთ მას ახალი რამ სათამაშო.

IV.

სეიდმა მართალი სთქვა. ბევრი ცრემლი იღვრებოდა იმ მზარეში, იმიტომ რომ იქ დიდი უსამართლობა, სიცრუე, სასტიკობა და ძალმომრეობა სუფევდა.

ბებერმა აბდულლახმა, სახლში დაბრუნების შემდეგ, დიდხანს ითათბირა ცალკე ხასანთან, და ეს საიდუმლო მოლაპარაკება იმით დასრულდა, რომ აბდულლახმა ყმაწვილი მზარ-

ძანებელის სურვილის შესასრულებლად საქმეს ხელი მიჰყო. როგორ! აბუჯებელს სურს, რომ მის საბრძანებელში ცოტა ცრემლი იღვრებოდეს...

მაგრამ ტანჯულთა თვალთ ცრემლის შეშრობა, მწუხარეთა ნუგეშინის ცემა, უძღურთა დაცვა, უსახლკაროთა შეწევნა, ძალმომრეეთა იარაღის აყრა, სიმართლის დამყარება აბდულლახს არ შეეძლო თავისი უნიჭობისა გამო. წყალობა და სამართალი, უბედურთადმი თანაგრძნობა მან არ უწყაოდა; მან არ იცოდა სანუგეშო სიტყვა, მისთვის არ არსებობდა არც კეთილი და არც ბოროტი, — ის მხოლოდ თავის თავზე და თავის კეთილდღეობაზე ჭფიქრობდა — რა არის, და დიდძალი ოქრო-ვერცხლი შეეგროვებინა სარდაფებში. მან საქმე თავისებურათ დაატრიალა.

გვიან ღამის სიბნელის საბურველს ქვეშ, აბდულლახმა, თავის სახლში მიიწვია მხედართმთავრები, გაუმასპინძლდა და დიდხანს ესაუბრა. რიერაჟისას, როდესაც აღმოსავლეთში ცისკარი აღმოხდა, დასტა შეიარაღებულის მხედრებისა გაუდგა გზას და მიმოეფინა მთელს მზარეში.

როგორც ნადირნი, ისრე გამხეცებულები და სისხლის მსმელები იყვნენ მხედრები; და ბრძანებაც მათდამი მხედართ მთავრებისგან მიცემული სრულიად შეეფერებოდა მათ სულიერ განწყობილებას. იმათ, ვის თვალზედაც ცრემლს შეამჩნევდენ, ყველანი უნდა გაეწყვიტათ. და ყველა მტირალნი, ხალხი უიარაღო და უმწეო, მხედრებმა ჩააგდეს სასტიკ სატანჯველში. თუ კი სადმე ცრემლს თვალს მოჰკრავდენ ისინი ბრაზდებოდენ და შმაგდებოდენ და თანდათან უფრო მეტათ მძვინვარებდენ, როგორც ცოფიანი ძაღლები. ისინი შეუბრალებლათ ელეტდენ — მტირალ მამაკაცთა და დედაკაცთა, მოხუცთა და ყრმათა, ჰკუნწავდენ და სჭრიდენ, სწვავდენ, აღრჩობდენ, წყალში აგდებდენ, ცოცხლულად მიწაში მარხავდენ, თვალებსა სთხრიდენ მტირალთ...

განსაკუთრებით მხედრები ბრაზობდენ მტირალ ბავშვებზე. დიდების თვალწინ ყრმებს ქვებზე უხლიდენ თავებს.

სისხლში მოსვრილი პარის სახით, ნიდა-
ყვებამდის სისხლში ამოვლებულის ხელებით,
ეს გამხეცებული ხალხი დამძვინვარებდა მთელს
მხარეში, ეძებდა თავისთვის საშოვარს და ხმლე-
ბისათვის საშუაოს. ისინი მიშოვლიდნენ ქალა-
ქითი ქალაქად და სოფლითი სოფლად, არ
სტოვებდნენ თავთ მივარდნილ კუთხეებს და
გაფაციცებით ათვალეირებდნენ ყველას, ხომ
ცრემლი არავის უბრწყინავს თვალზედო.

ესლა ცრემლის შავიერ! ისხლის ღვარი
აღვა.

სისხლით დამთვრალი მხედრები დაბრუნ-
დნენ სახლში.

ბებერმა აბდულლახმა უხვად დააჯილდო-
ვა ისინი და უთხრა:

თქვენ თქვენი საქმე მშვენივრად შეასრუ-
ლეთ და ესლა დაჩუმდითო!

პირველ ხანებში აბუ-ჯებელი გაიხსენებდა
ხოლომე ცრემლის ხევს და ჰკითხავდა თავის
ერთგულ ხასანს:

— მოდის თუ არა აღსრულებაში ჩემი
სურვილი! ჩემს საბრძანებელში ნაკლე ცრემ-
ლი იღვრება თუ არა?

— ცხადია თუ აბდულლახმა საქმეს ხე-
ლი მიჰყო, შეგიძლია თავისუფლათ მოისვენო!
ბეჯითად უბასუხა ხასანმა.

და აბუჯებულსაც მოსვენებით ეძინა...

ხანდისხან მიღწევდნენ ხოლომე მასთან რა-
ღაც არეული ამბები, საღლაც და ვილაცასა-
გან ჩადენილ სისასტიკეზე და ძალმომრეობა-
ზე.

— მართალია თუ არა ეს? ჰკითხავდა
ხოლომე იგი ხასანს.

— მე ვფიქრობ რომ ყველა ესეები სი-
ცრუე არის და უბრალო კორები...

— უბასუხებდა იგი.— მაგრამ, უმჯობესია
იმაზე თვით აბდულლახს ვკითხოთ!

მოიხმეს აბდულლახი:

— არავითარი სასტიკობა არა ყოფილა
და არც არის! მტკიცეთ და გადაწყვეტილათ
სთქვა აბდულლახმა — მტირალნი შემცირდნენ...
და ყველასფერი გარიგებულია! აბუ-ჯებელი
ძალიანაც არ ენდობოდა აბდულლახს, მაგრამ

რისთვის უნდა შეეშფოთებინა და შეეწუხებინა
ძალიანაც თავი...

თვითონ აბუ-ჯებელი განცხრომით სცხოვ-
რობს. გემრიელათ სვამსა და სკამს, სვამს ნამ-
დიელ ღვინოს, განიცდის ქალთა ხვეწნა-კოც-
ნას...

მტრებისაგან დასაცველად მას ჰყავს მა-
მაკი ჯარი, — შორს გამგმერი ისრები, შუბები
და ხმლები, აურაცხელი სიმლიდრე აქვს შენა-
ხული სამალავებში. ჰარამში სასტიკი საქური-
სების მეთვალყურეობით ურიცხვი ბანოვანნი
მოელთან მისს აღერსს, ურიცხვნი წყნარნი
და მშვიდნი მონანი მზათ არიან ერთი მისი
თითის ჩვენებით ერთმანეთს ყელები დაღა-
რონ, წყალსა და ცეცხლში ჩავარდნენ, ყველა-
ფერზე მზათ არიან. მას ყველანი ხმა შეუბრუ-
ნებლად ემორჩილებიან. მას პატივი, მას თა-
ყვანისცემა, როგორც ღვთაებას, მას ქალთა
აღერ! ი და სიყვარული...

მისთვის სიკოცხლე ისრე მიეშურება,
როგორც ჩქარი და ანკარა მდინარე, რომელ-
საც ვერავითარი დაბრკოლება ვერ აფერხებს
სვლაში. მეჯლიშები, ნადირობანი, თამაშობა-
ნი, ყოველნაირი განცხრომანი...

„სურვილი, თვალის დახამხამება — და შე-
სრულება.“

ხოლო ცრემლის ხევი ხომ მას თვალწინ
არ უდგა. და აბუ-ჯებელმაც სრულიად დაი-
ვიწყა იგი...

მ. ვლ. ფ.—ძე.

(შემდეგი იქნება).



რედაქტორ-გამომცემელი მღვდელი
სიმონ მჟებელიძე.